პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 199 (10285) | შაბათი, 23 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლა ბუქარესტში

## რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის დღესასწაულზე

ბუქარესტი, 21 აგვისტო. (საქდესი). დღეს რუმინეთის მთავრობის მოწვევით ბუქარესტში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის დღესასწაულზე დასასწრებლად.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ი. კიშინევსკი, კ. სტოიკა და ა. მოგიოროში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მ. კონსტანტინესკუ, ე. ბოდნარაში და პ. ბორილა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი კ. პირვულესკუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები დ. კოლიუ და ა. დრეგიჩი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფაზეკაში, რუმინეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. მორარუ, მინისტრები, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავარი რედაქტორი გაზეთისა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!" მ. ბ. მიტინი და სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვს აგრეთვე შეხვდნენ საბჭოთა საელჩოს [illegible] შემადგენლობა რუმინეთში სსრ კავშირის ელჩის ა. ა. ეპიშევის მეთაურობით, ბუქარესტში აკრედიტებული სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და წევრები, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ რუმინეთის განთავისუფლების დღის დღესასწაულზე, რუმინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომი მორთული იყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულდა სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე შეკრებილი მრავალი მშრომელი მხურვალედ მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს. პიონერებმა მას ყვავილების თაიგულები მიართვეს.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვმა მიკროფონთან გააკეთა შემდეგი განცხადება:

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩამოვედი რა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელოვან დედაქალაქ ბუქარესტში ეროვნულ დღესასწაულზე, რომელიც მიძღვნილია ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შრომისმოყვარე ხალხს!

საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც მიაღწიეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციამ რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების 11 წლის მანძილზე, და ახალ დიდ წარმატებებს გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში.

გაუმარჯოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ურღვევ მეგობრობას რუმინელ და საბჭოთა ხალხებს შორის!

# ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ

სულ ცოტა დრო დარჩა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მალე ჩვენი დიადი ქვეყნის ბედნიერი მოზარდი თაობა განახლებული ენერგიით შეუდგება სკოლებში მეცადინეობას.

ახალი სასწავლო წლის წინ, აგვისტოს ბოლო რიცხვებში გაიმართება მასწავლებელთა ტრადიციული თათბირები. ეს თათბირები წარმოადგენს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთგაზიარების ტრიბუნას, სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ფართო და გაბედული მხილების ტრიბუნას. მათ წარმატებით მოწყობაზე დიდად არის დამოკიდებული სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება.

ახალ სასწავლო წელს საბჭოთა სკოლის წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. წელს სკოლა მუშაობას შეუდგება ახალი სასწავლო გეგმით. საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებისა და პოლიტექნიკური სწავლების დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გეგმით შემოღებულ პრაქტიკუმებს სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის დარგში. ახალ სასწავლო გეგმასა და ახალ პროგრამებზე გადასვლა მოითხოვს სწავლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. ზოგიერთ საგანში საათების შემცირება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მომთხოვნელობა მცირდება. პირიქით, ეს აკისრებს მასწავლებლებს ყველა საგანში მიაღწიონ მოსწავლეთა უფრო ღრმა და მტკიცე ცოდნას, განუწყვეტლივ სრულყონ თავიანთი პედაგოგიური ოსტატობა.

მასწავლებელთა თათბირების მუშაობაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ღრმად შესწავლისა და გავრცელების ამოცანებმა. უკანასკნელ დრომდე სახალხო განათლების ორგანოები და მასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციები კმაყოფილდებოდნენ საუკეთესო სკოლებისა და მოწინავე მასწავლებელთა მხოლოდ უბრალო ჩამოთვლით, ყოველმხრივ არ სწავლობდნენ და არ განაზოგადებდნენ მათს გამოცდილებას.

აუცილებელია, რომ აგვისტოს თათბირებზე პედაგოგიური მეცნიერების მოღვაწეებმა ყურად იღონ პრეტენზიები, რომლებსაც მათი მისამართით გამოთქვამენ პრაქტიკოსი მასწავლებლები. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა უნდა აამაღლოს თავისი როლი მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში. ამ საქმეში უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის" და გაზეთმა „სახალხო განათლებამ".

მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სერიოზულ გაუმჯობესებასთან ერთად სკოლამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ მოამზადოს მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობისათვის, შრომითს ცხოვრებაში ჩაბმისათვის.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. ყოველწლიურად საშუალო სკოლას სულ უფრო მეტი კურსდამთავრებული შედის უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთან წლითიწლობით დიდდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიდიან ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშათა რიგების ზრდა სამუშაოზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მიღებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის ერთ-ერთი პირობაა.

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნასთან ერთად მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე სოციალისტური წარმოებისა და მისი მნიშვნელოვანი ელემენტების საფუძველთა ცოდნა. სკოლებმა კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ თავიანთი კავშირი საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებმა გასულ სასწავლო წელს გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო განათლების ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

გასული სასწავლო წლის შედეგები ცხადყოფენ, რომ ბევრ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა აღმზრდელობითს მუშაობას, მოსწავლეთა დისციპლინა დაბალ დონეზე იდგა. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სკოლებში იყო ზოგიერთი მოსწავლის თავაშვებული მოქმედების ფაქტები. ამ რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ ქმედითი ზომები არ მიიღო მოსწავლეთა შორის უდისციპლინობის აღმოსაფხვრელად. მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის უხეში შემთხვევები იყო ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაშიც.

აუცილებელია გადაჭრით დავგმოთ ფორმალიზმი აღმზრდელობითს მუშაობაში. მოსწავლეთა აღზრდის გაუმჯობესებისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს. სასკოლო პარტიული ორგანიზაციები, მასწავლებლები, უფროსი პიონერხელმძღვანელები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

ბავშვთა აღზრდის საქმეში სკოლასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშობლებს. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი სკოლას მის აღმზრდელობითს საქმიანობაში, განამტკიცონ და აამაღლონ მასწავლებლის ავტორიტეტი, გააფართოონ ოჯახისა და სკოლის კავშირი, გააძლიერონ მშობელთა პასუხისმგებლობა თავიანთი ბავშვების აღზრდისათვის.

სახალხო განათლების განყოფილებათა და პედაგოგიური საზოგადოებრიობის ინიციატივით მასწავლებელთა თათბირების დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნას სწავლების ხარისხის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან სკოლის კავშირის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის და სასკოლო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

წინა წლებში სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები მასწავლებელთა თათბირების შედეგებს არ განაზოგადებდნენ, არ იღებდნენ ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. წელს ეს აღარ უნდა გამეორდეს. თათბირის მონაწილეთა წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სკოლების მუშაობაში.

ამოცანა ის არის, რომ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები ახლებურად, შემოქმედებითად მოვაწყოთ, უარვყოთ დღის წესრიგისა და ვადების ზედმეტი რეგლამენტაციის არასწორი პრაქტიკა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ცხოველი ინტერესი უნდა გამოიჩინონ თათბირების საქმიანობისადმი, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ. საჭიროა პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელმა მუშაკებმა პირადად მიიღონ მონაწილეობა თათბირების მუშაობაში. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თათბირებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელებაში, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნაში.

# უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა

უკრაინის სსრ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მიაღწიონ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას და ამით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულით.

ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, უკრაინის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია კოლმეურნეებში, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებში. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საწარმოო საქმიანობა, ბევრი მტს-ი განმტკიცდა ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მრეწველობის სხვა სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით.

1954 წლის შემოდგომაზე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა უხვ მოსავალს, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დამთავრდა საშემოდგომო კულტურების თესვა 11 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე, მოხნულია მზრალი. ზრუნავენ რა მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებისათვის, კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა 1955 წლის გაზაფხულზე დიდი მუშაობა გასწიეს, რათა ხელახლა დაეთესათ დაღუპული საშემოდგომო კულტურები და გამოეთესათ გამეჩხერებული ნათესები. მაღალხარისხოვნად და შემჭიდროებულ ვადებში დაითესა ყველა საადრეო მარცვლეული და სათოხნი კულტურა. ყველგან მოეწყო სიმინდის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის გამოთესვა და გამორგვა.

კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებული შრომის მეოხებით, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკაში მოყვანილია კარგი მოსავალი, რამაც შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიმდინარე წელს ვადამდე, 18 აგვისტოს, 101,7 პროცენტით შეესრულებინათ პურის დამზადების (გარდა სიმინდისა) სახელმწიფო გეგმა. ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 301,3 მილიონი ფუთი.

ზრუნავენ რა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის, უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს დამატებით ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 150 მილიონი ფუთი მარცვალი. სულ მიმდინარე წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს ჩააბარებენ 74 მილიონი ფუთით მეტ პურს, ვიდრე ჩაბარდა ყველაზე მოსავლიან 1952 წელს. მნიშვნელოვნად იზრდება კოლმეურნეთა შრომადღის ნატურალური და ფულადი ანაზღაურება.

იბრძვიან რა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და რძის და ხორცის წარმოების გადიდებისათვის, უკრაინის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს უძვირფასესი სასურსათო და საფურაჟე კულტურის — სიმინდის ნათესები. თუმცა სიმინდი ძველთაგანვე მოჰყავთ უკრაინაში, მაგრამ მისი ასე ბევრი ნათესი რესპუბლიკაში ჯერ არ ყოფილა. ახლა სიმინდს თესავენ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამ კულტურის ნათესმა ფართობმა 1955 წელს 6 მილიონ ჰექტარს გადააჭარბა და თითქმის ერთიორად გაიზარდა შარშანდელთან შედარებით. მთელ ფართობზე სიმინდი დაითესა მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით ვითარდება მეცხოველეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ძროხის სულადობა 1953 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 აგვისტომდე გადიდდა 511,6 ათასი სულით ანუ 28 პროცენტით. 1 აგვისტოსათვის კოლმეურნეობებში მიღებულია 33,4 პროცენტით მეტი და სახელმწიფოს ჩაბარდა 300 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე 1954 წელს. რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მნიშვნელოვნად გაადიდა ხორცის, კვერცხისა და მატყლის წარმოება.

სამხრეთ ოლქებში დაიწყო რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ცალცალკე აღება და დასილოსება. მეტი წილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უხვ მოსავალს იღებენ. წელს განზრახულია დასილოსდეს 8,5 მილიონი ტონა მარტო სიმინდის ტარო, რაც უდრის მოსავლიანობის მხრივ ყველაზე ხელსაყრელ წლებში მთელი დამზადებული სილოსის რაოდენობას. ტაროს დასასილოსებლად მთლიანად აგებული და მოპირკეთებულია სასილოსე ნაგებობანი. სულ კი მიმდინარე წელს განზრახულია ჩაიდოს 30 მილიონ ტონაზე მეტი სილოსი. მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითისამებრ ახლა გაჩაღებულია მუშაობა წვნიანი და უხეში საკვების ერთნახევარი-ორი წლის მარაგის შესაქმნელად.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 117 ათასი ჰექტარით გაადიდეს შაქრის ჭარხლის ნათესები. ამჟამად მეჭარხლეები ემზადებიან მოსავლის ასაღებად, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ ჭარხლის ჩაბარების გეგმა, მისცენ ჩვენს ქვეყანას წელს სულ ცოტა 185 მილიონი ფუთი შაქარი, ესე იგი 67 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე ყველაზე მოსავლიან 1951 წელს.

მაგრამ ის, რაც გაკეთდა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. შესასრულებელია დიდი და დაძაბული სამუშაო.

წარმატებით შეასრულეს რა სახელმწიფოს წინაშე პირველი მცნება — პურის დამზადების გეგმა, რესპუბლიკის კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები მტკიცე საფუძველს ქმნიან მომავალ წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის. მათ გაცილებით მეტი ადგილობრივი სასუქი დაამზადეს, მთლიანად მოიმარაგეს თესლი საშემოდგომო თესვისათვის, ინახავენ საგაზაფხულო კულტურების თესლს. რესპუბლიკაში ჩაღდება საშემოდგომო კულტურების თესვა, მიმდინარეობს მზრალის ხვნა. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეს სამუშაოები დაამთავრონ საუკეთესო ვადებში მაღალი აგროტექნიკური დონით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ და თავდადებით შრომობენ, რათა წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, აამოქმედონ უდიდესი რეზერვები, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ, და მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

### საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. არზიგიანს ვერონ სეროფის ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ასპინძის რაიონი.
2. გიორგაძეს სულთან ვასილის ასულს — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ასპინძის რაიონი.
3. ელიშაკოვას რუსუდან აronის ასულს — დიასახლისს, ქალაქი გორი.
4. ზურნაჯიანს არევაკ ოჰანესის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი კარწახი.
5. კაპანაძეს გალინა პანტელეის ასულს — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ორჯონიკიძის რაიონი.
6. ქიაზიმოვას გულსაფა აბას ყზის — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი ირგანჩაი.
7. ქობალიას ანტისა ტიმოთეს ასულს — კოლმეურნეს, ზუგდიდის რაიონის სოფელი კორცხელი.
8. ლომინაძეს ხატიჯე იუსუფის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი ქედქედი.
9. ოვსეპიანს ნადეჟდა ნიკიტას ასულს — მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონი.
10. ფევაძეს სალიე მევლუდის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი არნალი.
11. ცაცურიანს ტაკუშ პეტროსის ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონი.
12. ჩილაჩავას ალექსანდრა გიძის ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ზუგდიდის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე
**ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი.
1955 წლის 19 აგვისტო.

# საბჭოთა მეურნეობების დაჯილდოება

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის წითელი დროშითა და პირველი პრემიით დააჯილდოეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში შემავალი მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოებულია მეორე პრემიით, ხოლო გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა — მესამე პრემიით.

# სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

(1955 წლის 20 აგვისტოს ცნობებით)

| რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|
| გარდაბნის | 114,0 | სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 61,7 |
| საგარეჯოს | 109,5 | მარნეულის | 61,1 |
| კ:ჭრეთის | 106,5 | ქარელის | 59,2 |
| ახმეტის | 101,2 | გურჯაანის | 46,6 |
| წითელწყაროს | 101,1 | წალკის | 33,3 |
| ხაშურის | 100,0 | გორის | 33,1 |
| ახალციხის | 93,0 | ლაგოდეხის | 32,3 |
| ბოლნისის | 87,0 | თეთრი წყაროს | 28,1 |
| კასპის | 78,2 | ბორჯომის | 16,0 |
| თელავის | 76,0 | ახალქალაქის | 7,5 |
| დმანისის | 74,1 | თიანეთის | 5,1 |
| ასპინძის | 72,9 | ბოგდანოვკის | 3,1 |
| სიღნაღის | 62,7 | ადიგენის | 1,7 |

შენიშვნა: დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის რაიონებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებს სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარება არ დაუწყიათ.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა საუზმე გამართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა 22 აგვისტოს საუზმე გამართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა გამოფენის „სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის 10 წელი" გახსნასთან დაკავშირებით.

საუზმეზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური ეროვნული კრების თავმჯდომარე ზ. ფირლინგერი, დელეგაციის წევრები: მანქანათმშენებლობის მინისტრი კ. პოლაჩეკი, საშინაო ვაჭრობის მინისტრი ფ. კრაიჩირი, კვების მრეწველობის მინისტრი ი. უგერი, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ა. მალეკი, სკოლების მინისტრი ფ. კაგუდა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რ. დვორჟაკი, გამოფენის „სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის 10 წელი" დირექტორი ი. ტაუფერი.

სტუმრებს შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკი და საელჩოს თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ლ. მ. კაგანოვიჩი და ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. თ. თევოსიანი და მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის მინისტრები: ვ. პ. ზოტოვი, ი. გ. კაბანოვი, დ. ვ. პავლოვი, ქ. დ. პეტუხოვი, ნ. ს. რიჟოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები: ი. გ. ბოლშაკოვი, ს. ა. ბორისოვი, ვ. ა. ზორინი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსი მ. გ. ლომაკოვი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ი. ს. ანდრიენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი გ. ი. ფომინი.

საუზმის დროს, რომელმაც განსაკუთრებული გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. მ. კაგანოვიჩმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საქდესი).

## დეპეშა

### ამხანაგ ა. პ. ვოლკოვს, ამხანაგ ვ. ტ. ლაცისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებს

მოსკოვი, კრემლი.

ბელგრადი.

სამშობლოში — იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში დაბრუნების შემდეგ საკავშირო სახალხო სკუპშჩინის მთავრობის დელეგაცია უაღრესად გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ მეგობრული და გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ აღმოგვიჩინეთ სსრ კავშირში 20 დღის ყოფნის დროს.

კიდევ ერთხელ გისურვებთ მრავალ წარმატებას თქვენ და საბჭოთა ხალხს მეცადინეობასა და მუშაობაში თქვენი ქვეყნის მშენებლობისათვის და თქვენს გულწრფელ მეცადინეობაში ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის დიადი საქმის განხორციელებისათვის.

საკავშირო სახალხო სკუპშჩინის პარლამენტის დელეგაციის სახელით
**ვლადიმერ ბაკარიჩი.**

### მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა

# მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საფუძველია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენმა კოლმეურნეობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი მეცხოველეობის განვითარების საქმეს. ახლა გვყავს 1.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 სულისა. აქედან 340 ძროხაა. 91 სული გვყავს ველის წითელი ჯიშის მაღალპროდუქტიული ძროხები.

მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმა ითვალისწინებს ერთ საფურაჟე ძროხაზე 1.000 ლიტრი რძის მიღებას. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა მიიღოს საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.100 ლიტრი რძე. სამეურნეო წლის ათ თვეში ერთ ძროხაზე მივიღეთ 910 ლიტრი. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ბეჯითად შრომობენ, რათა წარმატებით განახორციელონ აღებული ვალდებულება.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საფუძველია მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, ხოლო ამ საქმეში წამყვანი ადგილი სიმინდს უკავია. სიმინდი ძვირფასი მარცვლეული, საფურაჟე და სასილოსე კულტურაა. დამტკიცებულია, რომ ერთ ჰექტარ სიმინდის ნათესზე შეიძლება მივიღოთ სამჯერ მეტი საკვები ერთეული, ვიდრე ერთ ჰექტარ ქერის ან შვრიის ნათესზე. მაშასადამე, ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესი საშუალებას გვაძლევს შევინახოთ სამჯერ მეტი პირუტყვი, ვიდრე ჰექტარი ქერის ან შვრიის ნათესი.

წელს სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ 118 ჰექტარზე, რამაც საშუალება მოგვცა ნათესები მექანიზებული წესით დაგვემუშავებინა. შარშან სიმინდი მხოლოდ 15 ჰექტარზე გვეთესა. ჰექტარზე მოველით 20 ცენტნერ მოსავალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა. აგრეთვე ვიღებთ სიმინდის მწვანე მასის კარგ მოსავალს — ჰექტარზე 150-200 ცენტნერს.

ჩვენ დავიწყეთ სიმინდის ცალ-ცალკე აღება და დასილოსება. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სიმინდის აღების ვადის დადგენას, ტაროსა და ღერო-ფოთლების ცალ-ცალკე დასილოსების ტექნიკის დაცვას. ეს საქმე ახალია. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მივედით, რომ სიმინდი ავიღოთ სანთლისებური სიმწიფის პერიოდში. ამ დროს მცენარის ღერო და ფოთოლი ძირითადად მწვანეა, რაც საუკეთესო დასასილოსებელი ნედლეულია. სანთლისებური სიმწიფისა და ხმელ ტაროებს ცალკე ვარჩევთ, შემდეგ სპეციალურად ვაშრობთ, ხოლო რძისებრი სიმწიფის ტაროებს ვიღებთ ფუჩეჩიანად და ცალკე ვაკონსერვებთ. სიმინდის მწვანე მასას — ღეროსა და ფოთოლსაც ცალკე ვასილოსებთ.

სიმინდის აღებაზე მუშაობს სილოსის ასაღები კომბაინი სკ-2,6. სიმინდი ავიღეთ 40 ჰექტარზე. კომბაინი შეუფერხებლად მუშაობს, დღეში იღებს 7-8 ჰექტარ მწვანე მასას. მარტყოფის მტს-ი (დირექტორი ამხ. ი. ლომინეიშვილი) კარგად გვეხმარება სიმინდის აღებისა და დასილოსების საქმეში. კომბაინზე მხოლოდ ორი კაცი მუშაობს: კომბაინერი ა. მიგრიაული და ტრაქტორისტი დ. არსოშვილი.

სილოსის საჭრელი სკ-2,6 კომბაინი შესანიშნავი მანქანაა. სასილოსე კულტურების აღებასთან ერთად იგი დასასილოსებლად ამზადებს მათ, იღებს როგორც დაბალ, ისე მაღალღეროიან სიმინდსა და მზესუმზირას. ეს კომბაინი დიდად ამსუბუქებს კოლმეურ-



**სურათზე:** (მარცხნიდან-მარჯვნივ) სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. დანელია და მარტყოფის მტს-ის დირექტორი ი. ლომინეიშვილი ამოწმებენ სიმინდს აღების წინ.

• • •

ნეთა შრომას, ერთ დღეში ცვლის დაახლოებით 60 კაცის შრომას.

კოლმეურნეობამ კომბაინის მომსახურებისათვის გამოჰყო 5 ავტომანქანა და ხდება დაკუწული მწვანე მასის დაუყოვნებლივ გადაზიდვა სასილოსე ტრანშეებთან.

წელს ავაშენეთ 500 ტონის ტევადობის სასილოსე ტრანშეები. მთავრდება 700 ტონის ტევადობის ტრანშეების აგება. სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში მაქსიმალურად გამოვიყენეთ ადგილობრივი საშენი მასალები. ამ საქმეში ენერგიულად დაგვეხმარა სამგორის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მექქსე კანტორა (უფროსი ამხ. კ. თულაშვილი). სასილოსე ტრანშეები დაყოფილია სექციებად. თვითეული სექცია 100 ტონის ტევადობისაა. საუკეთესო სილოსის მისაღებად მწვანე მასას სწრაფად ვასილოსებთ. თვითეულ სექციაში დასილოსების მთელი პროცესი, დაწყებული სიმინდის აჭრით და დამთავრებული ტრანშეაში ჩადებითა და გადახურვით, ერთ დღეში მთავრდება. წელს კოლმეურნეობამ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებით უნდა დაასილოსოს 2.100 ტონა საკვები (ძირითადად სიმინდი).

ტრანშეები კარგად არის მოპირკეთებული ცემენტით. მწვანე მასა მჭიდროდ იტვირთება. ტრანშეის ავსების შემდეგ ზემოთ ვაყრით ნამჯას, გადავლესავთ ბზენარევი თიხიანი მიწით (ამით ზედაპირი უფრო მჭიდროვდება, არ სკდება, ნაპრალები არ ჩნდება). გადალესვის შემდეგ ვაყრით მშრალ მიწას და გადავხურავთ ფარდულებით. ერთი სექციის ჩატვირთვისა და დახურვის შემდეგ ხდება მომდევნო სექციების ამოვსება სასილოსე მასით.

სადაც ნიადაგის რელიეფი კომბაინის გამოყენების საშუალებას არ იძლევა, იქ სიმინდს ხელით ვიღებთ. ამ შემთხვევაში სიმინდის ღერო იჭრება ტაროიანად, დაუყოვნებლივ გადაიზიდება სასილოსე ტრანშეებთან, სადაც ხდება ტაროს გარჩევა, ხმელი ტარო გამოიყოფა ცალკე სამარცვლედ, დანარჩენი მთლიანად თავსდება სილოსის საჭრელ მანქანაში, იკუწება და პირდაპირ ტრანშეაში იყრება. სილოსის საჭრელი მანქანით დღეში 40-50 ტონა სიმინდის ღერო იკუწება.

ჩვენი კოლმეურნეობის სასილოსე ტრანშეები და კოშკები მოთავსებულია იქვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმასთან.

სიმინდის დასილოსებას მოკლე ვადაში — 10 დღეში დავამთავრებთ.

შრომადღის ანაზღაურების გადიდებამ დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. საკოლმეურნეო შრომაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები, მოზარდები. წელს არდადეგების დროს 165 მოსწავლე მთელი მონდომებით მუშაობს კოლმეურნეობაში. მათ უკვე გამომუშავებული აქვთ 15.200 შრომადღე. მოსწავლეებს თვითეულ შრომადღეზე მიეცათ ავანსად 3 კილოგრამი მარცვლეული, აგვისტოს ბოლოს მიეცემა ავანსად 3 მანეთი შრომადღეზე.

საკვების დამზადებაზე შრომის სწორი ორგანიზაცია წარმატების ძირითადი პირობაა. ახლა სიმინდის აღებასა და დასილოსებაზე ყოველდღიურად მუშაობს 140 კოლმეურნე. პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას საკვებმომპოვების ბრიგადა (ბრიგადირი რ. დალაქიშვილი). ბრიგადის წევრები ვერა ქოპილაშვილი, ნატალია მამადაშვილი, იაკობ ქარუმიძე გადაჭარბებით ასრულებენ სამუშაო ნორმებს.

წელს პირველად დავთესეთ ნაწვერალზე 70 ჰექტარი სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად. ამჟამად მცენარის სიმაღლე 40-50 სანტიმეტრს უდრის. მოსავალს კარგი პირი უჩანს, ჰექტარზე მივიღებთ სულ მცირე 100 ცენტნერ მასას. ნაწვერალზე დათესილ სიმინდს რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდში დავასილოსებთ.

საკვების გადიდებაში ყველა რეზერვს ვიყენებთ. უკვე დავასილოსეთ 500 ტონა მზესუმზირა ყვავილობისა და მარცვლის ჩასახვის პერიოდში. კოლმეურნეობის მთელი ღონისძიებანი იქეთკენ არის მიმართული, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ზამთარს, უზრუნველვყოთ პირუტყვი საუკეთესო საკვებით. წელს ერთ ძროხაზე გვექნება 6-7 ტონა სილოსი.

გადაჭარბებით შევასრულეთ წელს უხეში საკვების — თივისა და ნამჯის დაგროვების გეგმა. მარტო თივა დავამზადეთ 1.300 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 420 ტონისა. გამოყოფილია 300 ტონა კონცენტრირებული საკვები, დავასილოსებთ აგრეთვე 500 ტონა საკვებ ჭარხალს.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები თავდადებულად მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ენერგიულად იბრძვიან, რათა ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას.

**ე. დანელია,**
გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★



კომბაინით სიმინდის აღება სასილოსედ სოფელ ნორიოს კოლმეურნეობაში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## ამბროლაურის რაიონში

### დაბის კეთილმოწყობა

დაბა ამბროლაურში მდინარე კრიხულას მარცხენა ნაპირზე წარმოებს ლენინის ქუჩის რეკონსტრუქცია. ქუჩის ორივე მხარეს გაზონებისათვის გაკეთდა ბეტონის ბორდიურები და დაირგო მაღალტანიანი წიწვიანი ხეები. დაწყებულია ლენინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის და რუსთაველის ქუჩების მოასფალტება. 18 ათას კვადრატულ მეტრზე მოიკირწყლება ქუჩები და ტროტუარები. ქუჩების გაფართოების მიზნით კეთდება 3.200 კვადრატული მეტრი საყრდენი კედელი.

### მშრომელთა სამედიცინო მომსახურება

წელს სოფელ ურავში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 10-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც მომსახურებას უწევს სოფლების ურავის, აბარისა და ლიხეთის მოსახლეობას. გათვალისწინებულია სოფელ ქრებალოს 15-საწოლიანი საავადმყოფოს 25 საწოლამდე გაფართოება. სოფელ პატარა ონში მთავრდება 10-საწოლიანი საავადმყოფოს ახალი შენობა.

### სოფლების რადიოფიკაცია

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს რაიონის სოფლების რადიოფიკაციისათვის. წელს სოფლებში ველევსა და კორტში 150-მდე ახალი რადიოწერტი დაიდგმება. გრძელდება რადიოკვანძის გაფართოება ლიხეთსა და აბარში. ბუგეულის კოლმეურნეობაში წელს დაიდგმება ახალი რადიოკვანძი 200 რადიოწერტით. მომავალი წლისათვის რადიოწერტების რიცხვი 600-მდე გაიზრდება.

### ბინები პირუტყვისათვის

რაიონის კოლმეურნეობებში წელს აიგება 17 ტიპური ბოსელი 800 ძროხისათვის, 4 სახბორე 200 სულისათვის, 6 საღორე 200 ღორისათვის, 5 საფრინველე 1.500 ფრთა ქათმისათვის, აგრეთვე 38 ორმო 600 ტონა სილოსისათვის. ძირაგეულის კოლმეურნეობაში მთავრდება მექანიზებული ფერმის აგება, ხოლო სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შენდება 85 სულის ტევადობის მექანიზებული ფერმა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვისათვის ტიპური ბინების მშენებლობა ხვანჭკარის ლენინის სახელობის, ზნაკვის ჟდანოვის სახელობის, შრომის მარქსის სახელობის, ღადიშის კიკვიძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

### 27.000 წიწილა

ამბროლაურის სარაიონთაშორისო მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური მომსახურებას უწევს ონის, ცაგერისა და ამბროლაურის რაიონებს. მიმდინარე წელს ამ რაიონების კოლმეურნეობებმა ინკუბატორიდან მიიღეს 16.500 წიწილა, ხოლო მუშა-მოსამსახურეებმა 10.500. წიწილებს კარგად უვლიან აგარა-უყეშის, წესის მე-17 პარტყრილობის სახელობის, სადმელის სტალინის სახელობის, ამბროლაურისა და სხვა კოლმეურნეობებში. სეზონის დამთავრებისათვის საინკუბატორო სადგური გამოუშვებს 62.500 ფრთა წიწილას.

**ა. ბეშიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## მრეწველობის ქრონიკა

⊙ **1 აგვისტოდან სოხუმის ხორცკომბინატთან** ამუშავდა საძეხვე საამქრო, რომელსაც შეუძლია დღეღამეში 5-6 ტონა ძეხვეულის გამოშვება.

⊙ **შორაპნის რკინიგზის კვანძის კომკავშირულმა** ორგანიზაციამ ამას წინათ მიიღო უნგრეთის რესპუბლიკის სადგურ ზატასეკის ახალგაზრდა რკინიგზელთა წერილი, რომლითაც ისინი შორაპნელ თანამოძმეებს თავიანთი შრომითი მიღწევების შესახებ მოუთხრობენ. შორაპნელმა ახალგაზრდა რკინიგზელებმა უნგრელებს საპასუხო წერილი გაუგზავნეს.

⊙ **ტყიბულში მოლოტოვის შახტის** მეშახტეებისათვის დამთავრდა 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება. სახლში შესახლეს მოწინავე მეშახტეების ოჯახები.

⊙ **ონის ადგილობრივი მრეწველობის** კომბინატმა წელს 6 თვეში 1.131.900 მანეთის პროდუქცია გამოუშვა და 6 თვის გეგმა 29 პროცენტის გადამეტებით შეასრულა.

⊙ **სამტრედიის ადგილობრივი მრეწველობის** კომბინატის საწარმოები ამჟამად სისტემატურად გეგმის გადამეტებით იძლევიან კირს, აგურს, კრამიტს და ლურსმანს.

### ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით საძროხეებისა და საღორეების მშენებლობა

ტიპური პროექტების მიხედვით დაიწყო ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით საძროხეებისა და საღორეების მშენებლობა თბილისის გარეუბნის რაიონის მარტყოფის სტალინის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის და ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის და სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

საძროხეებსა და საღორეებში ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებული იქნება. საძროხეებში მოეწყობა ავტომატური სარწყულებლები. საკვების მიწოდება, წველა, ნაკელის გატანა ავტომატიზებულად იწარმოებს.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით საძროხეებისა და საღორეების მშენებლობა ნავარაუდევია დამთავრდეს ამა წლის ბოლოსათვის.

### ახალი საავადმყოფო

ხაშური. (საკ. კორ.). აქ გაიხსნა რკინიგზის 50-საწოლიანი საავადმყოფო, რომელსაც აქვს შინაგანი, ქირურგიული და სამშობიარო განყოფილებები.

საავადმყოფო დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო კადრებით, მომარაგებულია უახლესი სამედიცინო აპარატურით და ინსტრუმენტებით.

საავადმყოფოს მისასვლელი გზის და ეზოს კეთილმოწყობისათვის გამოყოფილია 107 ათასი მანეთი.

### პარტიული ცხოვრება

# თბილისის პარტიული ორგანიზაცია განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებს

თბილისის ყველა რაიონში გაიმართა პარტიის რაიონული კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შედეგები. რაიკომების პლენუმების მონაწილეებმა, მოიწონეს რა ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები, მწვავედ გააკრიტიკეს მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები მრეწველობისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის, წამოაყენეს ბევრი პრაქტიკული წინადადება, რომლებიც მიმართულია საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

მრეწველობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის საკითხი ყველა პლენუმის მუშაობის ყურადღების ცენტრში იდგა. ორატორებს თავიანთ გამოსვლებში მოჰყავდათ მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ დედაქალაქის ზოგიერთ საწარმოში სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია.

პარტიის ლენინის რაიკომის პლენუმზე აღინიშნა, რომ ბევრი საწარმოს პარტიული ორგანიზაცია ზერელედ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. მრეწველობისადმი სუსტი პარტიული კონტროლით აიხსნება, მაგალითად, ის, რომ ივლისში ლენინის რაიონის 29 საწარმოდან 5 საწარმოს არ შეუსრულებია პროდუქციის გამოშვების გეგმა. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ, ფოლადთუჯსასხმელო, ლითონკონსტრუქციებისა და ელექტროკონსტრუქციების ქარხნებში მთელი რიგი მძიმე სამუშაოები ხელით სრულდება, დაბალია მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი. ეს იწვევს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდასა და ხარისხის გაუარესებას. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბრძოლა ტექნიკური პროგრესის სრულყოფისათვის თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში. ქარხნის მიერ გამოშვებული ჩარხი ვერ უპასუხებს თანამედროვე ტექნიკის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება კომუნისტებმა პარტიის 26 კომისრის რაიკომის პლენუმზე. კამათის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ, მართალია, მთლიანად რაიონის საწარმოებმა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც ამ მხრივ სამარცხვინოდ ჩამორჩნენ.

პლენუმზე კომუნისტები ამბობდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ერთიანი გეგმის მიხედვით ვითარდება, შექმნილია პირობები საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფართოდ გამოყენებისათვის. მაგრამ ამ საქმეში კვლავ ბევრია ნაკლი. რაიონის სარეწაო კოოპერაციის არტელები და საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები ზოგჯერ ერთსა და იმავე პროდუქციას უშვებენ, რაც იწვევს ძალებისა და საშუალებების დაქუცმაცებას, პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას.

პარტიის სტალინის რაიკომის პლენუმზე ორატორები აღნიშნავდნენ, რომ რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებმა წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მაგრამ ბევრია ისეთი ობიექტი, რომელთა მშენებლობა წლობით ჭიანურდება. ნაკლებად არის გამოყენებული მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, დიდია მუშათა დენადობა.

ახალი ტექნიკის ბაზაზე მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სამინისტროების, ტრესტების, სამმართველოების კვალიფიციურ ხელმძღვანელობას მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისადმი. ზოგიერთი სამინისტროს ტექნიკური განყოფილებები და სამმართველოები აჭიანურებენ საწარმოებში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას. პარტიის კალინინის რაიკომის პლენუმზე აღინიშნა, რომ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს ტექნიკური განყოფილება ისეთ საკითხებზე მუშაობს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს საწარმოთა ტექნიკურ აღჭურვილობასთან. ამის გამო ამ სამინისტროს საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

პლენუმებზე მკაცრად გააკრიტიკეს მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მუშაობა. ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმზე აღინიშნა, რომ თბილისის ჰიდროენერგეტიკისა და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი ჩამორჩება სამეცნიერო გეგმების შესრულებაში. საწარმოებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით პლენუმის მონაწილეებმა დააყენეს „საქსურსათმშენისა" და „საქჩაიმშენმონტაჟის" ტრესტების გაერთიანების საკითხი. მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს აგრეთვე ტრესტ „საქართველოს ჩაის" მეჩაიეობის რაიონებთან დაახლოება.

პარტიის კიროვის რაიკომის პლენუმის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს რაიონის საწარმოებისა და არტელების მუშაობა. აღინიშნა, რომ ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა, ფაბრიკა „კომკავშირელი", საპნის სახარში და სამსხმელო-მექანიკური ქარხნები, აგრეთვე არტელი „სპორტი" და სხვა საწარმოები სახელმწიფო გეგმებს არ ასრულებენ ნომენკლატურისა და ხარისხის დაცვით.

მოლოტოვისა და გარეუბნის რაიონული კომიტეტების პლენუმებზე დიდი ყურადღება მიექცა მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომები დროულად ვერ ამჩნევენ ნაკლოვანებებს საწარმოების მუშაობაში.

პარტიის რაიკომების პლენუმებზე კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ყველა გამოსული ერთხმად აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის გაუმჯობესება ახალი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

რაიონული კომიტეტების პლენუმების მონაწილეებმა მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და გამოთქვეს ერთსულოვანი მზადყოფნა წარმატებით შეასრულონ სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

## კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ანგარიში

აბაშა. („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის დ. ნადარეიშვილის ანგარიში.

აღინიშნა, რომ პარტბიურო არასაკმაო მუშაობას ეწევა უპარტიო აქტივთან, კოლმეურნეებისათვის იშვიათად ეწყობა საუბრები, ლექცია-მოხსენებები. საკოლმეურნეო ბრიგადებში ჩაშლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. პარტბიურო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს კომკავშირულ ორგანიზაციას.

პარტბიუროს მუშაობის გასაუმჯობესებლად რაიკომის ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება.

## ლექტორთა თათბირი-სემინარი

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიმართა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების ლექტორთა თათბირი-სემინარი, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საკითხებისადმი.

თათბირმა მოისმინა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილის ი. რუხაიას და საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის გ. გოგიტიძის მოხსენებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. თათბირზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ხულოსა და ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეების ინფორმაციები რაიონებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე ლექციური პროპაგანდის მდგომარეობის ირგვლივ.

სიტყვებით გამოვიდნენ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი მ. ცუსევა, აგრონომი ს. ქუკოვა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ა. ბაუაძე და სხვ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა აგრეთვე მოისმინეს ლექციები სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორის ქ. ბახტაძისა — „ჩაის კულტურის განვითარების ამოცანების შესახებ", სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ი. ლომოურისა — „როგორ მივიღოთ სიმინდის უხვი მოსავალი", ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ხანთაძისა — „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია", პროფესორ ს. ერქომაიშვილისა — „საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა".

# გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლი ბუქარესტში

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საქდესი). ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების მეთერთმეტე წლის თავის გამო დღეს ბუქარესტში გამარჯვების მოედანზე გვირგვინებით საზეიმოდ შეამკეს მოძმე რუმინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა გმირი მეომრების ძეგლი.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიაზე იყვნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოქტორი პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. აპოსტოლი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ი. კიშინევსკი, ქ. სტოიკა და ა. მოგიოროში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მ. კონსტანტინესკუ, ე. ბოდნარაში და პ. ბორილა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი კ. პირვულესკუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები დ. კოლიუ და ა. დრეგიჩი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფაზეკაში, მინისტრები, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რუმინეთში დღესასწაულზე ჩამოსული მთავრობათა დელეგაციების წევრები, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი, გაზეთის „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!" მთავარი რედაქტორი მ. ბ. მიტინი, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

გვირგვინები მოიტანეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაგან, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმისაგან, რუმინეთის განთავისუფლების მეთერთმეტე წლის თავის დღესასწაულზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისაგან, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა დელეგაციებისაგან, იუგოსლავიის საელჩოსაგან, იუგოსლავიის სამხედრო ატაშესაგან, ისრაელის სახელმწიფოს მისიისაგან, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამინისტროსაგან, ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან. ბუქარესტის პიონერებმა ძეგლი შეამკეს ყვავილების თაიგულებით.

დღეს აგრეთვე გვირგვინებით შეამკეს ობელისკი სტალინის სახელობის სამხედრო აკადემიასთან, სადაც აიგება რუმინეთის არმიის იმ მამაცი მეომრების ძეგლი, რომლებიც დაიღუპნენ გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

## რუმინეთის ეროვნული დღესასწაულის წინ

ბუქარესტი, 21 აგვისტო. (საქდესი). რუმინელი ხალხი ემზადება თავისი ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის აღსანიშნავად. რესპუბლიკის ქალაქები და სოფლებიირთვებიან. სადღესასწაულოდ იკაზმება ბუქარესტი. ბულვარებზე, მოედნებზე და ქუჩებში ფრიალებს ეროვნული ალმები. შენობების ფასადებზე გამოკრულ წითელ ტილოებს წარწერილი აქვს: „გაუმარჯოს 23 აგვისტოს!".

საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა რუმინეთის განთავისუფლების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები. ფაბრიკებისა და ქარხნების, შახტებისა და ნავთობსარეწების კოლექტივები დგანან ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავ საპატიო ვახტზე, იბრძვიან მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის პროდუქციის გამოშვების გადიდებაში, ზეგეგმითი დაგროვების მიღებაში.

გაზეთები იუწყებიან, რომ მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო ობიექტები — აცეტილენის ქარხანა, ფერომარგანეცის ქარხანა, სამრეწველო კერამიკის ქარხანა და სხვა საწარმოები.

## საბინაო მშენებლობა ბუქარესტში

ბუქარესტი. (საქდესი). რუმინეთის დედაქალაქში დიდი გაქანება მიეცა საბინაო მშენებლობას. 23 აგვისტოს სახელობის და გრივიცა-როშიეს რაიონებში შენდება ათასი ბინა, რომელთაგან წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა დაახლოებით 700 ბინა.

გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის, პირველი მაისისა და სხვა რაიონებში მშრომელები სახელმწიფო კრედიტების საშუალებით კოოპერაციულ საწყისებზე აშენებენ 120-ზე მეტს მრავალსართულიან სახლს. რამდენიმე ასეული ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინა შენდება ქალაქის განაპირა უბნებში. წარმოებს ათასობით საცხოვრებელი შენობის შეკეთება და კეთილმოწყობა.

გარდა საცხოვრებელი სახლებისა, ბუქარესტში შენდება საავადმყოფოს შენობა, რამდენიმე სკოლა, მაღაზიები.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს რუმინეთის დედაქალაქის გაზიფიკაციისათვის. 1951 წელთან შედარებით გაზსადენის ქსელი ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა.

# გამოფენა „სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის 10 წელი"

20 აგვისტოს მოსკოვში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, გაიხსნა გამოფენა „სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის 10 წელი".

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ პარკის მოედნებზე და ხეივნებში შეიკრიბნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ეროვნული კრების თავმჯდომარე ზ. ფირლინგერი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკი და საელჩოს თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. თ. თევოსიანი და მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი მიესალმა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წევრებს და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში და განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანებს სულით და გულითახარებთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური მრეწველობის მიღწევები.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ გამოფენა ახალი წვლილი იქნება საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ურღვევ მეგობრობაში.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ზ. ფირლინგერმა გადაჭრა ლენტი და გამოფენა გახსნილად გამოაცხადა.

გამოფენა მოთავსებულია ექვს პავილიონში. მთავარი პავილიონის წინ მოედანზე არის საბჭოთა ჯარისკაცისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიზანის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ორი მოძმე ხალხის მეგობრობის სიმბოლოს წარმოადგენს. ღია გალერეაში მოთავსებულია ფოტოსურათები, პანოები, დიაგრამები, რომლებიც მოგვითხრობენ ჩეხი და სლოვაკი ხალხების ბრძოლას თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის. გალერეის ცენტრში დიდ პანოზე აღბეჭდილია ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის შეხვედრა საბჭოთა არმიის ნაწილებთან. „თქვენ მადლობაც და სიყვარულიც!" — ნათქვამია წარწერაზე.

მთავარ პავილიონში ვეებერთელა ელექტროფიცირებული რუკა, რომელიც გვიჩვენებს ჩეხოსლოვაკიის ინდუსტრიალიზაციის, სამრეწველო მშენებლობის ზრდას ათი წლის მანძილზე. აქ უმთავრესად გამოფენილია სამრეწველო მოწყობილობა: ორი ათასზე მეტი ჩარხი, მანქანა და ხელსაწყო, რომლებიც მოწმობენ ახალ ჩეხოსლოვაკიაში მანქანათმშენებლობის განვითარების დიდ წარმატებებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 50-ტონიანი პორტალური სალარავი ჩარხი. მის გვერდით არის უნივერსალური სახარატო ჩარხი. აქვე უჩვენებენ ოკეანის გემის მუხლალილვის ვეებერთელა, 40-ტონიან ნაწილს. ამ ექსპონატების გვერდით შეიძლება ვნახოთ ძალიან მცირე გაბარიტების მრავალი ზუსტი ხელსაწყო და რთული აპარატი.

გამოფენაზე წარმოდგენილია სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო ტექნიკის ნიმუშები. ნაჩვენებია სასოფლო-სამეურნეო მანქანების საინტერესო ნიმუშები, სპეციალური ტრაქტორები, კომბაინები და მოსავლის ასაღები სხვა მანქანები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, თვითმფრინავები.

ბევრი საინტერესო ახალი რამ შეიძლება ვნახოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სამრეწველო მოწყობილობის განყოფილებაში.

ჩეხოსლოვაკიის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია გამოფენაზე მდიდრად წარმოდგენილია ლამაზი, მკვიდრი და მოხერხებული ტანსაცმლის, ავეჯის, გალანტერეის, ტრიკოტაჟის, ქსოვილების, საოჯახო ნივთების დიდი და მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ჩეხოსლოვაკიის კულტურის განვითარების ჩვენებას. მრავალი ექსპონატი თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის ლიტერატურაზე, თეატრზე, კინოსა და რადიოზე, მეცნიერებაზე, სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე. (საქდესი).

## ჩეხოსლოვაკია ინდოეთში აშენებს ფოტოაპარატების ქარხანას

პრაღა. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტები ახლა მუშაობენ ინდოეთისათვის ფოტოაპარატების ახალი ქარხნის პროექტზე. ინდოეთმა ამავე დროს სთხოვა ჩეხოსლოვაკიას ფოტოაპარატების წარმოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებლობის ქარხნები ინდოეთს მიაწოდებენ ახალი ქარხნის მოწყობილობას. ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტები დადგამენ ამ მოწყობილობას ადგილზე და ასწავლიან ინდოელ ტექნიკოსებსა და მუშებს მათ მართვას.

# სსრ კავშირიდან გაემგზავრა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია

21 აგვისტოს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარე ვლადიმერ ბაკარიჩი, იყვნენ საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატები რაია ნედელკოვიჩი, ვიცკო კრსტულოვიჩი, ცვიტან მიიატოვიჩი, ბორის ზიხერლი, რისტო ანტუნოვიჩი, გიდოე სმილევსკი, ჯოკა პაიკოვიჩი, პაშკო რომაცი, მილიან ნეორიჩიჩი, ბოსა ცვეტიჩი, ფრანიო გაჟი, სლავკო პაპლერი, ფრანც სიმონიჩი, ხალიდ მესიხოვიჩი, გრეტა კავაი, გოიკო გარჩევიჩი.

ცენტრალურ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, იუგოსლავი სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. გამცილებელთა შორის არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები შ. რ. არუშანიანი და ი. ი. პალეცკისი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი დ. ვ. პავლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ი. დუდინი, ზ. ა. ლებედევა, დ. გ. ონიკა, ნ. ვ. პოპოვა, ა. მ. საფრონოვი, ი. ს. სენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივნები ა. ი. გორჩაკოვი და ვ. ვ. გრიშინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ე. ი. აფანასენკო, ბ. ა. ბორისოვი და ი. ტ. მარჩენკო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ნ. შელეპინი და ვ. ე. სემიჩასტნი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე საბჭოთა და იუგოსლავიის პრესის წარმომადგენლები.

იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში დ. ვიდიჩმა და საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ვ. ბაკარიჩმა მოკლე განცხადება გააკეთა მიკროფონის წინ. მან თქვა, რომ დელეგაციის ყველა წევრისათვის სსრ კავშირში ყოფნა მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იყო, და მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს დელეგაციის მეგობრული და გულთბილი მიღებისათვის.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა თავის მხრივ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინა გამოეხმაურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევას და გამოგზავნა დელეგაცია საბჭოთა ქვეყანაში.

— ვთხოვ, იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის წევრებს — თქვა ვ. ტ. ლაცისმა, — გადასცენ იუგოსლავიის ხალხებს საბჭოთა კავშირის ხალხთაგან გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილი, რომ იუგოსლავიის პარლამენტმა წარმატებანი მოიპოვოს თავის დიდ მუშაობაში თავისი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

* * *

კიევი. 21 აგვისტო. (საქდესი). დღეს სამშობლოში მიმავალი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია შეჩერდა კიევში.

კიევის აეროდრომის საფრენ მინდორზე დელეგაციას შეხვდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ნ. ზლენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე ა. პ. სიდორენკო, კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ი. დავიდოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ს. სინიცა, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ე. ნიჟნიკი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. გ. პოშეველია, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი ა. ვ. ვალეტჩიკი.

გაფრენის წინ ვლადიმერ ბაკარიჩმა, გამოთხოვებისას, თქვა:

— დელეგაციის წევრებისათვის მეტად სასიამოვნო იყო, როცა ესმოდათ, ნახეს, და გრძნობდნენ, რომ საბჭოთა ადამიანები ყოველთვის ისე გვიღებდნენ, როგორც მეგობრებს. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იუგოსლავი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა, რომელსაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, იცოცხლებს, განმტკიცდება და განვითარდება, რადგან ამ ორი ხალხის მიზანი ერთია — იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად.

— ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, — განაცხადა ბაკარიჩმა, — მინდა უმაღლეს საბჭოს, მის დეპუტატებს, მთელ საბჭოთა ხალხს ვუსურვო დიდი წარმატებანი თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშაობაში, წარმატება მათს ბრძოლაში მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

ს. ა. კოვპაკმა ძმურად გადაჰკოცნა თავისი ძველი ნაცნობი იუგოსლავი პარტიზანი რ. ნედელკოვიჩი, მადლობა გადაუხადა იუგოსლავიის პარლამენტარებს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისათვის და სთხოვა მათ გადასცენ საკავშირო სახალხო სკუპშჩინას, პრეზიდენტ ტიტოს და იუგოსლავიის ყველა ხალხს ძმური სალამი და ბედნიერებისა და აყვავების სურვილი.

## ბელგრადს დაბრუნდა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო

ბელგრადი, 21 აგვისტო (საქდესი). დღეს სპეციალური თვითმფრინავით მოსკოვიდან ბელგრადს დაბრუნდა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიწვევით სამ კვირას სტუმრად იყო საბჭოთა კავშირში. დელეგაციას შეხვდნენ საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე მოშე პიადე, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის და სერბიის სახალხო სკუპშჩინის დეპუტატები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ვ. ა. ვალკოვი, ბელგრადის საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა და იუგოსლავი ჟურნალისტები.

აეროდრომზე პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა, ხორვატიის სახალხო კრების თავმჯდომარემ ვლადიმერ ბაკარიჩმა საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

ძალიან კმაყოფილი ვართ სტუმართმოყვარეობითა და მიღებით. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხი ნამდვილად მიესალმება იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის პოლიტიკას.



რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. ხუნედოარის გეორგიუ-დეჟის სახელობის მეტალურგიული კომბინატი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმო გახდა. კომბინატი აღჭურვილია უახლესი მანქანებითა და აპარატებით. სურათზე: ხუნედოარის მეტალურგიული კომბინატის № 6 ბრძმედი, რომელიც ყველაზე მძლავრია რესპუბლიკაში.
რუმინეთის პრესის სააგენტოს ფოტო.

# რუმინელი ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებს

დოქტორი პეტრუ გროზა,
რუმინეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

რუმინელი ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი 23 აგვისტო, როგორც დიდი ეროვნული დღესასწაული. ამ დღეს ჩვენი ფიქრები და გული მადლიერების გრძნობით კვლავ და კვლავ მიპყრობილია საბჭოთა კავშირისადმი და მისი მამაცი არმიისადმი, რომელმაც გაგვათავისუფლა ჰიტლერული მონობისა და ბოიარინების უღლისაგან.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ სახელოვან საბჭოთა მეომრებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე გასწირეს რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, და სამარადისოდ შევინახავთ მადლიერებას ჩვენი რუმინელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისადმი, რომლებმაც 1944 წლის 23 აგვისტოს იარაღი შემოაბრუნეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და საბჭოთა ჯარების მხარდამხარ ჩაებნენ ბრძოლაში სამშობლოს განთავისუფლებისათვის, აგრეთვე დახმარება აღმოუჩინეს მეზობელ ქვეყნებს — უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებაში.

იმ დღეებში, საბჭოთა ჯარების გამარჯვების შედეგად შექმნილ პირობებში რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულმა ჩვენი ქვეყნის პატრიოტულმა ძალებმა გადაჭრით მოსპეს ანტონესკუს ფაშისტური დიქტატურა. მას შემდეგ სულ თერთმეტმა წელმა განვლო, მაგრამ რა ღრმა და შესანიშნავი ცვლილებები მოხდა დროის ამ მონაკვეთზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში! ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის რეჟიმის დამხობის, იმპერიალისტური ძალებისაგან ჩვენი ქვეყნის კაბალური დამოკიდებულების ლიკვიდაციის შედეგად, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის შედეგად რუმინელი ხალხი დღეს თავისი ქვეყნის, თავისი ბედის ერთადერთი ბატონ-პატრონი გახდა, ახალი, სოციალისტური ცხოვრების თავისუფალი მშენებელი გახდა.

მრავალი ათეული წლის ქრონიკა 1944 წლის 23 აგვისტომდე სავსეა იმის დამადასტურებელი ცნობებით, თუ რა სასტიკად ძარცვავდა ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს მსხვილი საერთაშორისო კაპიტალი. რუმინეთის ბურჟუაზიასთან შეთანხმებული საერთაშორისო კაპიტალი სულ უფრო მეტი სიხარბით ხელიხელ იგდებდა ხელში ჩვენი ეროვნული დოვლათის წყაროებს.

ჩვენი ქვეყანა პატარაა, მაგრამ მდიდარია. მთელი ეს სიმდიდრე კი რუმინელ ხალხს არ ეკუთვნოდა. ხალხის დოვლათს, რომელსაც უმოწყალოდ საჯაროდ ჰყიდდნენ მთავრობაში მყოფი ბურჟუაზიისა და მემამულეების წარმომადგენლები, გაუმაძღარი უცხოელი მონოპოლიების ხელში გადადიოდა. ჩვენს ქვეყანას ნავთობის მეტად დიდი საბადოები ჰქონდა, მაგრამ ნავთი ჩვენ უნდა გვეყიდა ინგლისელებისა და ამერიკელების ნავთობის მონოპოლიებისაგან, რომლებიც ჩვენში პარპაშებდნენ სხვადასხვა სახელწოდებით. რუმინეთის მიწა დაფარულია ხშირი ტყეებით, რომლებიც სახელგანთქმულია თავისი მაღალი ხარისხით, მაგრამ ხის ნაწარმს, ასანთსაც კი, ჩვენ ვყიდულობდით შვეციის კრეიგერის ტრესტისაგან.

უცხოელთა მონოპოლიებს, რომლებიც ხელში იგდებდნენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და ზედიზედ იღებდნენ კონცესიებს, თან მოჰყავდათ თავიანთი ინჟინრები და ტექნიკოსები და ამრიგად რუმინელ ხალხს საშუალებას არ აძლევდნენ გამოევლინებინა თავისი ეროვნული გენია, ახშობდნენ მის შემოქმედებით ნიჭს. მონოპოლიებს ესაჭიროებოდათ დაქირავებული მუშები, რომლებიც მათ უმეცრების წყვდიადში ჰყავდათ და რომლებსაც ძალღონეს აცლიდნენ.

1944 წლის 23 აგვისტოს რუმინელი ხალხის წინაშე დადგა არჩევანი: ან დაბრუნებოდა ძველ გზას, საითკენაც მას ეწეოდნენ რეაქციული ბურჟუაზიული პარტიები, ექსპლოატაციისა და ძარცვის რეჟიმის შენარჩუნების გზას, ან დასდგომოდა ახალ გზას, რომელზეც კომუნისტური პარტია მიუთითებდა, — სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზას. ჩვენმა ხალხმა აირჩია მეორე გზა, ერთადერთი გზა, რომელსაც შეეძლო მიეყვანა მშრომელები თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებამდე.

ჩვენი ქვეყნის მშრომელმა ხალხმა, დარაზმულმა მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით, თერთმეტი წლის წინათ დაამხო ფაშისტური დიქტატურა, 1945 წლის 6 მარტს თავიდან მოიშორა რადესკუს რეაქციული მთავრობა, რომელიც იმპერიალიზმის სამსახურში იმყოფებოდა, ხელისუფლების სათავეში დააყენა დემოკრატიული მთავრობა და, ბოლოს, 1947 წლის დეკემბერში სამუდამოდ გააუქმა საძულველი ინსტიტუტი მონარქიისა. ამ ღონისძიებათა განხორციელებით რუმინელმა ხალხმა ისტორიაში ამოჰკვეთა საფეხურები, რომლებითაც მას შეეძლო ასულიყო სინათლემდე და პროგრესამდე. ასე შეიქმნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო — ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა სამშობლო. შემაძრწუნებელი ეკონომიური და სოციალური ჩამორჩენილობის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნიდან რუმინეთი ამ წლების მანძილზე გადაიქცა აღმავლობის გზით მიმავალ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

23 აგვისტოს დღე ჩვენი მშრომელი ხალხისათვის მოასწავებდა არა მარტო მობრუნებას მისი პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლებისაკენ, არამედ მისი შემოქმედებითი ძალებისა და ინიციატივის განთავისუფლებასაც. სახალხო-დემოკრატიული წყობილებით შექმნილი პირობები გამოიყენეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, მეცნიერების მოღვაწეებმა, ჩვენმა ტექნიკოსებმა და ინჟინრებმა, მხატვრულ ფასეულობათა შემქმნელებმა, რომლებმაც რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით უდიდესი წვლილი შეიტანეს სამშობლოს ეკონომიური და კულტურული განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების საქმეში.

ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა მუშათა კლასმა თავისი პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელ გლეხობასთან მტკიცე კავშირში გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდია ხალხის შემოქმედებითი ძალები, თუ რაოდენ დიდი ორგანიზატორული ნიჭი აქვს მას. სახალხო ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობამ ბევრად გადააჭარბა კაპიტალიზმის დროინდელი წარმოების ყველაზე მაღალ დონეს. ჯერ კიდევ 1953 წელს ჩვენი მრეწველობის პროდუქცია თითქმის ერთისამად გაიზარდა ომამდელ 1938 წელთან შედარებით. მნიშვნელოვნად გადიდდა ნავთობის, ელექტროენერგიის, ქვანახშირის, ფოლადის, თუჯის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. თუ წინათ ჩვენი ქვეყანა მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის ერთ პროცენტსაც ვერ ამზადებდა, ახლა ჩვენ ვუშვებთ ნავთობის, სამთო და სამშენებლო მოწყობილობას, ჩარხებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ტურბინებს, ტრაქტორებს, ბურთულსაკისარებს, მოწყობილობას საფეიქრო და კვების მრეწველობისათვის. ბევრი ფაბრიკა და ქარხანა ახლა სამამულო წარმოების მოწყობილობითა და მანქანებით არის აღჭურვილი.

ჩვენი მუშათა კლასის უდიდესი მიღწევებს, მისი ენერგიისა და მუშაობის უნარის, ჩვენი წარმოების მოწინავეების, ნოვატორებისა და რაციონალიზატორების, ჩვენი მეცნიერების მოღვაწეების, ინჟინრების, ტექნიკოსების ბრწყინვალე მუშაობის მაჩვენებლებს წარმოადგენენ ახალი თბოელექტროცენტრალები და ჰიდროელექტროსადგურები, რკინიგზის ახალი ხაზები, ელექტროტექნიკური მოწყობილობის ქარხნები, ცემენტის ქარხნები, საბარგო ავტომობილები და ავტობუსები, რომლებიც პირველად დამზადდა ჩვენს ქვეყანაში, ახალი საფეიქრო და სამკერვალო ფაბრიკები, პურის, ზეთსახდელი, საკონსერვო ქარხნები და მრავალი სხვა საწარმო.

რუმინეთის მუშათა პარტია და ჩვენი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, რომლებსაც ხალხი მიჰყავთ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზით, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის აღმავლობის საფუძველს, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლების საფუძველს.

წელს ჩვენ შევედით ჩვენი პირველი ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელ წელიწადში. უკვე ახლა ეს გეგმა შესრულა სახალხო მეურნეობის ბევრმა სექტორმა — მანქანათმშენებელმა, ლითონდამმუშავებელმა და ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ, ხე-ტყის დამუშავების სექტორმა, კვების მრეწველობის მსხვილმა დარგებმა, მზა ტანსაცმლის და საოჯახო საგნების მრეწველობამ და ა. შ.

მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველზე თანამედროვე მოწყობილობით აღიჭურვა მსუბუქი და კვების მრეწველობა. ამან განაპირობა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობა. მშრომელებს თავიანთ განკარგულებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობით ეძლევათ კვების პროდუქტები, ბამბისა და შალის ქსოვილები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი და ა. შ.

ხუთწლიანი გეგმის წლებში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკუთარი მრეწველობის შექმნის შედეგად ჩვენი სამშობლოს მინდვრებზე ახლა მუშაობს ათასობით ტრაქტორი, კომბაინი და სულ სხვადასხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მარტო მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ჩვენი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გადიდდა კიდევ 1.625 ტრაქტორით — 15-ძალიანზე გადაყვანით. საგრძნობლად გაიზარდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვი, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის განუწყვეტელ განვითარებასა და განმტკიცებას.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის სასოფლო კოლექტიურ მეურნეობათა და მიწის ერთობლივად დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვმა 5.500-ს გადააჭარბა. ეს კოლექტიური მეურნეობანი და ამხანაგობანი 360 ათას გლეხურ კომლს მოიცავენ. იზრდება იმ ერთპიროვნულ გლეხთა რიცხვი, რომლებიც პრაქტიკით რწმუნდებიან, თუ რა უდიდესი უპირატესობა აქვს მიწის ერთობლივად დამუშავებას დიდ ფართობებზე მექანიზებულ საშუალებათა დახმარებით.

განთავისუფლებული ხალხი სულ უფრო მეტ ნიჭიერ ადამიანს აწინაურებს თავისი რიგებიდან. კავშირი ხალხსა და მის მიერ შექმნილ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას შორის ურღვევია. ჩვენი წყობილების სიმტკიცის წყაროს წარმოადგენს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, მშრომელთა ნდობა თავიანთი ავანგარდისადმი — რუმინეთის მუშათა პარტიისა და სახალხო მთავრობისადმი, სულ უფრო მჭიდრო ერთიანობა რუმინელ ხალხსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის, რომლებიც სრული თანასწორობის საფუძველზე ვითარდებიან.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო ამაყობს მეცნიერებისა და კულტურის თავისი მოღვაწეებით, რომელთა შემოქმედებითი ნიჭი ჩაყენებულია როგორც ჩვენი სამშობლოს აყვავებისა და განმტკიცების, ისე მთელ მსოფლიოში მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ინტერესთა სამსახურში. ხალხის შემოქმედებითი შრომის მაღალი პათოსის პირობებში ძველი ინტელიგენციის სულ უფრო მეტი წარმომადგენელი ებმება ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში და ხალხიდან გამოსულ ახალ, ახალგაზრდა ინტელიგენციასთან ერთად წინ სწევს ჩვენს ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას.

წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, წლითიწლობით უფრო იფურჩქნება რუმინელი ხალხის კულტურა.

ჩვენი ხალხი წელს 23 აგვისტოს დღესასწაულობს იმ ახალ სასიხარულო ატმოსფეროში, რომელიც საერთაშორისო ცხოვრებაში შექმნა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის თათბირი იყო, მან ნათლად დაგვანახვა, რომ სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოებს მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლიათ და რომ ხალხთა შორის სადავო საკითხების გადაჭრის საუკეთესო გზას წარმოადგენს არა „ძალის პოლიტიკის" გზა, არამედ მოლაპარაკების გზა. ჩვენ მივესალმებით ჟენევის თათბირის შედეგებს, თათბირისა, რომელმაც დასაწყისი მისცა მობრუნებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელმაც გადამწყვეტად შეუწყო ხელი ჟენევის თათბირის წარმატებას. საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან ერთად ჩვენი ქვეყანა დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

უეჭველია, რომ თუ კვლავაც შენარჩუნებულ იქნება თანამშრომლობის სულისკვეთება, მისწრაფება საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისადმი, თანდათანობით შესაძლებელი გახდება, რა თქმა უნდა, სიძნელეთა დაძლევით, მშვიდობის ინტერესებისათვის გადაიჭრას უმნიშვნელოვანესი პრობლემები — ევროპის უშიშროების შექმნა და გერმანიის საკითხი, განიარაღება და ატომური იარაღის აკრძალვა და სხვები.

რუმინელი ხალხი თავისი ეროვნული დღესასწაულის წინადღეს სიყვარულის, მეგობრობისა და მადლობის სიტყვებით მიმართავს დიდ საბჭოთა ხალხს ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის, იმ ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევს რუმინელ ხალხს ახალი, სოციალისტური ცხოვრების აშენების და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის საქმეში.

ჩვენ გამოვთქვამთ სრულ თანხმობას ჟენევაში მიღებული გადაწყვეტილებებისადმი და ღრმა კმაყოფილებით მივესალმებით კეთილმოსურნეობის ყველა გამოვლინებას თათბირის შემდეგ დიდი სახელმწიფოების მხრივ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას 1955 წლის 15 დეკემბრისათვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის 640 ათასი კაცით შემცირების შესახებ, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადებებს შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგებისა და აზიის და წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნებს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, კოლექტიური მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მშვიდობის საქმე, უეჭველია, წინ წაიწევს, დასავლეთის სახელმწიფოები ასეთსავე ღონისძიებებს რომ მიიღებდნენ.

რუმინელი ხალხი ყველაფერს გააკეთებს, რაც კი ძალუძს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

ქ. ბუქარესტი.

(„იზვესტია", 21/VIII).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ხამხინი, 21 აგვისტო. (საქდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ბ. არისტოვის მეთაურობით, ჩავიდნენ ქალაქ ხინამში, რომელიც სამხრეთ ხამგენის პროვინციაში მდებარეობს. ქალაქის ქუჩები მორთულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ლოზუნგებით დიდი საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, კორეა-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად. საწარმოთა საამქროებში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს გულთბილად მიესალმებიან მშრომელები.

პროვინციული სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ თუ მინმა უამბო დელეგაციას, თუ როგორ განვითარდა სამხრეთ ხამგენის პროვინცია. დელეგაციის წევრები იყვნენ ხინამის ქიმიური სასუქების კომბინატში, პონგუნის ქიმიურ ქარხანაში, ენსონის მანქანათმშენებელ ქარხანასა და კვანფხონის მეფრინველეობის სახელმწიფო ფერმაში.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები დღესვე დაბრუნდნენ ფხენიანში.

# დაიხურა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია

ჟენევა, 21 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ ჟენევის ერთა სასახლის ასამბლეის დარბაზში ბაბას თავმჯდომარეობით გაიმართა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის საბოლოო პლენარული სხდომა. სხდომას დაესწრნენ ყველა დელეგატი, მეთვალყურენი, დელეგაციათა მრჩეველნი, პრესის მრავალი წარმომადგენელი და სტუმრები.

ამ სხდომაზე კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი პროფესორ ა. ლავრიშჩევისა (სსრ კავშირი) — საბჭოთა კავშირის დახმარება სხვა ქვეყნებისადმი მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში, უ. ლიბისა (ამერიკის შეერთებული შტატები) — საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის დარგში და იუნესკოს წარმომადგენლის პ. ოჟეს მოხსენება — მეცნიერთა კადრების მომზადება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, იაპონიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, მექსიკის, პაკისტანის დელეგატებმა, ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, აგრეთვე ვატიკანის წარმომადგენელმა. ყველა მათგანმა კმაყოფილება გამოთქვა კონფერენციის წარმატების გამო და ხაზგასმით აღნიშნა ამ ფაქტის მნიშვნელობა საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისათვის.

იუგოსლავიის დელეგატმა პ. სავიჩმა გამოაქვეყნა იუგოსლავიის პრეზიდენტის ტიტოს მიმართვა კონფერენციისადმი. მიმართვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კონფერენციის საერთაშორისო მნიშვნელობა გასცდა წმინდა მეცნიერული კონფერენციის ფარგლებს და მოასწავებს ახალ ეტაპს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში.

კონფერენციის თავმჯდომარემ ხ. ბაბამ საბოლოო სიტყვაში გააკეთა კონფერენციაზე განხილულ პრობლემათა მოკლე მიმოხილვა.

ხ. ბაბამ განაცხადა, რომ კონფერენციის სახელზე მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მისალმება და გამოაქვეყნა ტექსტი ამ მისალმებისა, რომელსაც დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ კონფერენციის სახელზე მისალმება მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჩერვენკოვისაგან.

თავისი სიტყვის დასასრულს ბაბამ განაცხადა: „ამ კონფერენციის დახურვის შემდეგ ჩვენ დავუბრუნდებით ჩვენს მუშაობას, რომელიც დაკავშირებულია ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით შემდგომ გამოყენებასთან. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს ახლა, განვიცდით რა კმაყოფილებას იმის გამო, რომ ხელი შევუწყეთ ამ კონფერენციის წარმატებას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შრომა მოხმარდება მსოფლიოს ყველა ნაწილის ყველა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას".

ხ. ბაბამ კონფერენცია დახურულად გამოაცხადა.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია იყო არა მარტო მეცნიერული ცხოვრების უდიდესი მოვლენა, არამედ შემდგომი ნაბიჯი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების გზაზე. ამ კონფერენციამ შესაძლებლობა მისცა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერებსა და ინჟინრებს განეხილათ ყველაზე აქტუალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან ატომის ენერგიის დარგში და მშვიდობიანი მიზნით მის გამოყენებასთან. ამით კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ნაყოფიერ საერთაშორისო თანამშრომლობას, რომლის მიზანია ატომის ენერგიის გამოყენება ყველა ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 73 ქვეყნის 1.400-ზე მეტმა მეცნიერმა და ინჟინერმა და მრავალმა მეთვალყურემ როგორც ცალკეული ქვეყნებისაგან, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული ორგანიზაციებისაგან (იუნესკო, ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა მსოფლიო ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვები). კონფერენციას მომსახურებას უწევდა პრესის 900-ზე მეტი წარმომადგენელი, ფოტორეპორტიორი და კინორეპორტიორი.

კონფერენციის მონაწილეებმა პლენარულ სხდომებსა და სექციათა სხდომებზე განიხილეს ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ატომგულის რეაქტორთა თეორიასა და დაპროექტებასთან, ატომის ენერგიის ელექტროსადგურთა მშენებლობასთან, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის სხვადასხვა დარგებში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებასთან. კონფერენციას სულ წარედგინა ათასზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია. გარდა ამისა, კონფერენციის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც შეავსებდნენ მის მუშაობას და ხელს უწყობდნენ კონფერენციის წარმატებით მსვლელობას (თვალსაჩინო მეცნიერთა საღამოს ლექციები, გამოფენები და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ჩვენება).

თუ რა აქტივობით მიმდინარეობდა კონფერენცია და საკითხების რა ფართო წრე მოიცვა მან, ამას მოწმობს თუნდაც შემდეგი ფაქტი, რომელსაც იუწყებოდა შვეიცარიის პრესა. კონფერენციას წარედგინა ორასი ტონა სხვადასხვა მოხსენება, ინფორმაცია, ანგარიშები, რეზიუმეები და ოქმები. არც ერთ კონფერენციას, რომელიც დღემდე ჟენევის ერთა სასახლეში გამართულა, ჯერ არ ჰქონია თავის განკარგულებაში ასეთი ვრცელი დოკუმენტაცია. ჟენევის ექვსი სტამბა მთელი დღეღამეობით მუშაობდა ამ დოკუმენტების ბეჭდვაზე.

საბჭოთა დელეგაციამ ბევრი მოხსენება წარადგინა კონფერენციაზე განხილული ყველა პრობლემის შესახებ. კონფერენციაზე განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მეცნიერების დ. ი. ბლოხინცევისა და ნ. ა. ნიკოლაევის მოხსენებამ სსრ კავშირის პირველი სამრეწველო ატომის ელექტროსადგურის შესახებ, აგრეთვე მთელმა რიგმა მოხსენებებმა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში რადიაქტიურ იზოტოპებს იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებში, სახალხო მეურნეობაში.

კონფერენციის დროს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა დაამყარეს პირადი და საქმიანი კონტაქტი, გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება და აზრები. ბევრი მეცნიერი თავიანთ ქვეყნებში მიიწვიეს მათმა კოლეგებმა. მაგალითად, ინგლისის მეცნიერებმა თავიანთი მთავრობის დავალებით ინგლისის ატომის სამეცნიერო-საკვლევო ცენტრის (ჰარუელში) სანახავად მიიწვიეს კონფერენციის მონაწილეთა დიდი ჯგუფი, მათ შორის საბჭოთა მეცნიერები.

კონფერენციის მუშაობამ ცხადყო, თუ რა ნაყოფიერია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის კონტაქტი და გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას.

# მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს დელეგაცია

20 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის ეკონომიური საბჭოს სამრეწველო წარმოების კომისიის თავმჯდომარე და საფრანგეთის პატრონატის ეროვნული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი და ხაზინადარი ბ-ნი ემანუელ მაიოლი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ეკონომიური საბჭოს ბიუროს წევრი ბ-ნი ალექსანდრე ვერე, გაზის წარმოების განვითარების საზოგადოების თავმჯდომარე — გენერალური დირექტორი ბ-ნი მარკ ფერლე, ეკონომიური საბჭოს კომისიათა წევრები ბ-ნები: იუშარი, პიერ ლე ბრენი, ჟან კადი და ბ-ნი ალბერტ კესპი.

დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ: ელექტროსადგურთა მინისტრის მოადგილე ი. ი. უგოროეცი, ელექტროსადგურთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. ნეკრასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ა. ა. არუთინიანი, ა. ა. შვედოვი და საერთაშორისო ენერგეტიკულ გაერთიანებებში სსრ კავშირის მონაწილეობის კომიტეტის გენერალური მდივანი ა. ი. ტიმოფეევი. დელეგაციას შეხვდა აგრეთვე საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჟ. ლე რუა.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დელეგაცია გაეცნობა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკას, ატომის ელექტროსადგურსა და მთელ რიგ ენერგეტიკულ საწარმოებს.

დელეგაციას ვილნიუსში შეხვდა და მოსკოვამდე გააცილა სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს წარმომადგენელმა ნ. მ. ჩუპრაკოვმა.

# სსრ კავშირიდან გაემგზავრა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია

საბჭოთა კავშირში ერთი თვის ყოფნის შემდეგ 21 აგვისტოს მოსკოვიდან სამშობლოში გაფრინდა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, რომელსაც უილიამ ლამბერტი მეთაურობს.

სტუმრები აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. ი. ბოვინმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. ი. ბოვინმა და დელეგაციის მეთაურმა უილიამ ლამბერტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

გამოთხოვებისას ამერიკელ სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. (საქდესი).

# ინდოეთის სპეციალისტების დელეგაცია სვერდლოვსკში

სვერდლოვსკი, 21 აგვისტო. (საქდესი). დღეს მაგნიტოგორსკიდან სვერდლოვსკში ჩამოვიდა ინდოეთის სპეციალისტების დელეგაცია წარმოების სამინისტროს მდივნის ს. ხ. კერას მეთაურობით. დელეგაცია გაეცნობა ურალის შავი მეტალურგიისა და მძიმე მანქანათმშენებლობის უდიდეს საწარმოებს.

დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელები ქარხნის დირექტორ გ. გლებოვსკის მეთაურობით.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ინდოეთის სპეციალისტებმა დაათვალიერეს ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა.

# ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვა გენერალური ასამბლეის მე-10 სესიის დღის წესრიგში შეიტანოს ახალი საკითხი — „წარმატება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების დარგში: მთავრობათა მოხსენებანი".

# ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი



სურათებზე: 1. მოსწავლეთა მეორე საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი კიევის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე; 2. საქართველოსა და ესტონეთის ჭაბუკ კალათბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. სიჩოვისა.

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

### ნორჩ სპორტსმენთა ზეიმი

კიევი. 21 აგვისტო. ქალაქის ახალგაზრდობა, მოსწავლეები ემზადებიან დიდი სპორტული ზეიმისათვის, მოსწავლეთა მეორე საკავშირო სპარტაკიადის გახსნისათვის. აქ რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფებიან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის წარმომადგენლები. ესენი არიან სწავლასა და სპორტში წარჩინებული გოგონები და ჭაბუკები, კუნთმაგარი ახალგაზრდები.

ნაშუადღევის 2 საათია. „დინამოს" სტადიონზე, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ სასპორტო ბაზად ითვლება, შეიკრიბნენ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გუნდები, სპორტსმენი გოგონები და ჭაბუკები.

ნაირფერად მაისურებსა და ტრუსებში გამოწყობილი სამი ათასამდე სპორტსმენი ლამაზ კოლონებად დაეწყო. სპორტული დელეგაციები განლაგებული არიან გასულ წელს მოსწავლეთა პირველ საკავშირო სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგების მიხედვით. კოლონების სათავეში დგას მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ნორჩ სპორტსმენთა კოლექტივი, რომელმაც შარშან გარდამავალი ჯილდო მოიპოვა, მას მიჰყვებიან მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ, საქართველოს, ესტონეთის, შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს, ბელორუსიისა და სხვა გუნდები.

გაისმის სასპორტო მარშის ხმა. სპარტაკიადის მონაწილე გოგონები და ჭაბუკები მწყობრი ნაბიჯით ტოვებენ „დინამოს" სტადიონს და უკრაინის დედაქალაქის ცენტრალური ქუჩებით ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონისაკენ მიემართებიან. კიევის მშრომელები ქუჩებში ნორჩ სპორტსმენებს გულთბილ შეხვედრას უწყობენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონი საზეიმოდ მოურთავთ. საფეხბურთო მოედანი სპარტაკიადის მონაწილეებით აივსო. სპორტსმენებს მიესალმნენ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დანილოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტუმანოვა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კობაკი. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა აგრეთვე პიონერთა დელეგაცია. ალამი აღმართეს პირველ სპარტაკიადაში გამარჯვებული უკრაინის გუნდის წარმომადგენლებმა. ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ნორჩი სპორტსმენების კოლონებმა სარბენი ბილიკებით შემოუარეს სტადიონს. მაყურებლებმა ერთსულოვანი ტაშით გააცილეს ისინი.

### მძლეოსანთა ასპარეზობა

სპარტაკიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ სარბენ ბილიკებზე გამოვიდნენ მძლეოსნები. იწყება შეჯიბრება ამანათრბენში 4×100 მეტრზე ჭაბუკებისა და გოგონებისათვის. ჭაბუკებისათვის პირველ გარბენში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ლენინგრადის გუნდი (44,4 წამი), მეორეში — უკრაინის მძლეოსნები (43,7 წამი), მესამეში — მოსკოვის გუნდი (44 წამი), მეოთხეში — რსფსრ მძლეოსანთა კოლექტივი. საქართველოს გუნდმა, რომელიც პირველ გარბენში იღებდა მონაწილეობას, აზერბაიჯანთან ერთად გაიყო მესამე და მეოთხე ადგილი (44,7 წამი). დღის მეორე ნახევარში გაიმართა აგრეთვე შეხვედრები შუბის ტყორცნაში, სიმაღლეზე ხტომაში, 400, 1.500 მეტრზე რბენაში.

დილით გამართულ შეხვედრებში თარჯრბენში ჭაბუკთათვის 110 მეტრზე ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა გვინჩიძემ (15,8 წამი), რომელიც ფინალში გავიდა. საქართველოს გუნდიდან დასკვნით შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა აგრეთვე ქიტინიოვამ (შუბის ტყორცნა). ნახევარფინალში გავიდნენ კუკულავა, კანაფიელსკაია, პშენიჩნაია (100 მეტრზე რბენა).

### ტანვარჯიშის იარაღებზე

„დინამოს" სტადიონის საფეხბურთო მოედანზე დადგმულია ტანვარჯიშის იარაღები. შეჯიბრებისათვის ემზადებიან ჭაბუკთა პირველი თანრიგის ტანმოვარჯიშეები. რამდენიმე წუთის შემდეგ სხვადასხვა იარაღებზე ერთდროულად იწყება ვარჯიში. ათასობით სპორტის მოყვარული ერთსულოვანი ტაშით აჯილდოებს სპორტის ამ ულამაზესი სახეობის წარმომადგენლებს, რომლებიც ოსტატურად ასრულებენ სავალდებულო ვარჯიშს. ბრძოლა ყოველი ქულისათვის საინტერესოდ მიმდინარეობს. სამ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ წინ იყო სომხეთის წარმომადგენელი ა. ნერსესიანი, რომელმაც ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და 54,95 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა. საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა აღნიაშვილმა და მკრტიჩიანმა პირველი ადგილები დაიკავეს ღერძზე და ტაიჭზე ვარჯიშში. პირველმა მოაგროვა 9,8 ქულა, მეორემ — 9,35. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა რსფსრ გუნდი, რომელმაც 267 ქულა მოაგროვა, მეორეზე საქართველოს ჭაბუკ ტანმოვარჯიშეთა გუნდი (258,15 ქულა), მესამეზე — ლენინგრადის გუნდი (255 ქულა).

### კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე

მრავალი მაყურებელი ესწრება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტულ თამაშებს — ფრენბურთსა და კალათბურთს. აქ ყოველი მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ერთი წაგებით გუნდი ძირითადად კარგავს ფინალში მონაწილეობის უფლებას. დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით დაუმარცხებლად იბრძვიან საქართველოს, უკრაინისა და მოსკოვის ჭაბუკთა გუნდები. საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა კოლექტივმა დაამარცხა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გუნდი ანგარიშით 86 : 29. აგრეთვე გაიმარჯვა ტაჯიკეთის კალათბურთელებთან შეხვედრაში.

საქართველოს კალათბურთელმა გოგონებმა ლიტვის გუნდთან მატჩის წაგების შემდეგ ორი შეხვედრა მოიგეს აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდებთან ანგარიშით 45 : 20, 50 : 49. დღეს საქართველოს ფრენბურთელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა დაამარცხეს ბელორუსიისა და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გუნდები 3 : 0, 3 : 0.

### შეხვედრები ცურვასა და სროლაში

დაიწყო შეხვედრები ცურვასა და სროლაში. საქართველოს წარმომადგენლებიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი მოხვდა ფინალში. 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში საუკეთესო დრო აჩვენა პილოიანმა (სომხეთი), გოგონათა შორის ფოგმა (ესტონეთი). ბატერფლაის სტილით ცურვაში 200 მეტრზე გაიმარჯვა კისელიოვმა (მოსკოვი), ზურგზე ცურვაში 100 მეტრზე — კლიპოვამ (უკრაინა) და კუვალდინმა (ლენინგრადი).

• • •

სპარტაკიადის პირველი შეხვედრები მოსწავლე სპორტსმენებმა წარმატებით დაამთავრეს. ამაზე მეტყველებენ მათ მიერ დამყარებული ახალი რეკორდები, სპორტული მაჩვენებლები. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. წინ არის მეტად პასუხსაგები შეჯიბრება, რომელიც გამოავლინებს გამარჯვებულებს, ჩემპიონებს.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

## საზღვათაშორისო ტურნირი გეტებორგში

გეტებორგი, 20 აგვისტო. (საქდესი). მეოთხე ტურში ყაიმით დამთავრდა უნციკერ (დასავლეთი გერმანია) — რაბარის (იუგოსლავია), შტალბერგ (შვეცია) — მედინას (ვენესუელა), სლივა (პოლონეთი) — პახმანის (ჩეხოსლოვაკია) და გიმარ-პილნიკის (ორივე არგენტინა) პარტიები.

კერესმა მოუგო სპასკის.

გადაიდო ფუდერერის (იუგოსლავია) პარტია პანოსთან (არგენტინა).

დღეს გაიმართა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

ყაიმით დამთავრდა მედინა (ვენესუელა) — ფილიპის (ჩეხოსლოვაკია) პარტია.

პილნიკმა (არგენტინა) თავის თანამემამულე ნაიდორფთან პარტიაში ყაიმს მიაღწია.

ფუდერერ-პანოს პარტიის გათამაშებამ ცხადყო თეთრების ერთგვარი უპირატესობა. პანომ მხედრის შეწირვით დაიჩქარა მუდმივი ქიში.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან ილივიცკი (სსრ კავშირი), პანო (არგენტინა) და ფუდერერი (იუგოსლავია), რომლებსაც აქვთ სამსამი ქულა ოთხ შესაძლებელში.

## ფ ე ხ ბ უ რ თ ი

### საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

**მოსკოვი. 21 აგვისტო.** „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი და საბჭოთა კავშირის ნაკრები კოლექტივი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3 : 2.

### სსრ კავშირის თასზე

**კიევი. 21 აგვისტო.** გუშინ აქ „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ კიევის ოფიცერთა საოლქო სახლისა და სტალინოს „შახტიორის" გუნდები. შეხვედრა მოიგეს კიეველებმა ანგარიშით 3 : 2 და მოიპოვეს უფლება ითამაშონ მეოთხედფინალში.

### სსრ კავშირის პირველობა
### „ბ" კლასი

**სტალინგრადი. 21 აგვისტო.** გრძელდება შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოს" და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდები. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2 : 0.

**ტაშკენტი. 21 აგვისტო.** აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაშობდნენ ტაშკენტის და ერევნის „სპარტაკის" გუნდები. შეხვედრა მოიგეს ერევნელებმა ანგარიშით 2 : 1.

**კრასნოდარი. 21 აგვისტო.** ადგილობრივი „ნეფტიანიკისა" და სვერდლოვსკის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა კრასნოდარელთა გამარჯვებით 5 : 1.

### პრიზის მოსაპოვებლად

გრძელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზის გათამაშება ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლებს შორის. 21 აგვისტოს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და კიევის ახალგაზრდული სკოლის ფეხბურთელები. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 4 : 1.

## სამომხმარებლო კოოპერაციის ფიზკულტურელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

თბილისში გაიმართა სამომხმარებლო კოოპერაციის ფიზკულტურის კოლექტივთა რესპუბლიკური სპარტაკიადა. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და რაიონების 260 ფიზკულტურელმა.

სპარტაკიადაში პირველი ადგილი დაიკავეს აჭარის სპორტსმენებმა, მეორე — აფხაზეთის, მესამე — ქუთაისის სპორტსმენებმა. (საქდესი).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# დარბაზობა ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც იყო სსრ კავშირში

დელი, 21 აგვისტო. (საქდესი). გუშინ ინდოეთის საგარეო საქმეთა ასოციაციამ ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად, რომელმაც საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავია- [illegible] შო იმოგზაურა, დარბაზობა მოაწყო. დარბაზობაზე იყო დელის საზოგადოებრიობის ათასზე მეტი წარმომადგენელი.

დამსწრეთა შორის იყვნენ იუსტიციის მინისტრი ბისვასი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ტიაგი, ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის წევრები, პარლამენტის დეპუტატები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დელეგაციის წევრებმა დამსწრეთ თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის შესახებ. დეპუტატმა დივან ჩამან ლალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირში გაემგზავრნენ, როგორც საბჭოთა ხალხის მეგობრები, რომელნიც გულწრფელად ისწრაფოდნენ შეეცნოთ საბჭოთა კავშირის წინაშე მდგომი პრობლემები, მისი ადამიანების ცხოვრება, მათი განწყობილება და იმედები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მან თქვა, რომ ერთადერთი რკინის ფარდა, რომელიც დელეგაციის წევრებმა საბჭოთა კავშირში ნახეს, იყო სახანძრო ფარდა მოსკოვის დიდ თეატრში. მან აღნიშნა საბჭოთა ხალხის მეგობრული გრძნობები ინდოეთის ხალხისადმი, გრძნობები, რომელთა გამოვლინებას დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირში ყველგან ხედავდნენ. მან თქვა, რომ საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი ქვეყნით, თავისი მშენებლობით და წარმატებებით. ისევე, როგორც საბჭოთა ხალხს, საბჭოთა ხელმძღვანელებსაც გულწრფელად სურთ მშვიდობა და ესწრაფვიან მშვიდობას.

შემდეგ ლალმა ილაპარაკა, თუ რა გულთბილი [illegible] შეხვედრა მოუწყეს დელეგაციის წევრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ქ. ჟუკოვმა. ამ შეხვედრის დროს მარშალმა ჟუკოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირს იმიტომ კი არ სურს მშვიდობა, რომ იგი სუსტია, არამედ იმიტომ, რომ მშვიდობა მიაჩნია კაცობრიობის ხსნად. ვ. მ. მოლოტოვმა, განაცხადა ლალმა, დელეგაციის წევრებთან საუბარში აღნიშნა, რომ როგორც საბჭოთა კავშირი ვითარდებოდა თავისი ისტორიული პირობების შესაბამისად, ინდოეთიც უნდა განვითარდეს თავისი პირობების შესაბამისად.

ლალმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ დელეგაციის მოგზაურობის დროს საბჭოთა მთავრობამ გადადგა ნაბიჯები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მან განსაკუთრებით აღნიშნა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციის მნიშვნელობა.

დასასრულ ლალმა განაცხადა, რომ საჭიროა კვლავაც განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

დეპუტატმა ნატესანმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებმა დელეგაციის წევრებს ფართო შესაძლებლობა მისცეს გაეცნოთ ყოველივე ის, რაც მათ აინტერესებდათ, და დელეგაციის წევრები პასუხს იღებდნენ ყველა კითხვაზე. როგორც მან თქვა, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევებმა.

ნატესანმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა ხალხის მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობს.

დეპუტატმა პროფესორმა რანგამ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის მიღწევებზე კულტურული და სამეურნეო მშენებლობის დარგში. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირში უფრო სწრაფად მაღლდება კულტურული დონე, ვიდრე სხვა ქვეყნებში, აგრეთვე აღნიშნა ქალთა თანასწორუფლებიანობა ცხოვრების ყველა დარგში.

შემდეგ პროფესორმა რანგამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით არის გადაჭრილი ეროვნული საკითხი.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა იუსტიციის მინისტრმა ბიოვასმა. მან მოუწოდა, რომ მეგობრული ურთიერთობა განვითარდეს სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნებს შორის იმ მიზნით, რომ მთელ მსოფლიოში შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა და უზრუნველყოფილ იქნას ურთიერთ თანაარსებობა.

სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ინდოეთში გ. ი. აშუროვმა მადლობა გადაუხადა დელეგაციის წევრებს გულთბილი გრძნობების გამოთქმისათვის.

დასასრულ შეკრებილთ უჩვენეს საბჭოთა ფერადი დოკუმენტალური ფილმი საბჭოთა კავშირში ჯ. ნერუს ყოფნის შესახებ.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.

**სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.**

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაწვრილებითი პირობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

**ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს 1955-56 სასწავლო წლისათვის რენტგენოლოგიის კათედრაზე კლინიკურ ორდინატურაში (1 ადგილი).

საჭირო საბუთები განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

მოქალაქე ნელი კონსტანტინეს ასულმა ჩაჩავა-ჯავახიშვილმა, მცხოვრებმა ა. წერეთლის ქ. № 3/5, აღძრა საქმე ვოლოდარსკის ქ. № 1 მცხოვრებ ალექსანდრე ივანეს-ძე ჯავახიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ოთარ არჩილის-ძე ბილანიშვილმა, მცხოვრებმა პეტრიაშვილის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ლილი კარაპეტის ასულ არუთინოვასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე გიორგი ალექსის-ძე ლოქაფიშვილმა, მცხოვრებმა ქართული ქ. № 22, აღძრა საქმე დუშეთის ქ. № 17 მცხოვრებ მოქალაქე ზინა ლუკას ასულ ლოქაფიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ს. ორჯონიკიძის სახელობის ხრამჰესის კოლექტივი იუწყება

ნინო გრიგოლის ასულ გაჩეჩილაძის

გარდაცვალებას.

მეუღლე ქეთევან კალანდაძე, შვილი ლადო იუწყებიან

კოწია ვლადიმერის-ძე აბაშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 6 ს. ჯაფარიძის ქ. № 11.

შვილი გიორგი ოჯახით იუწყება

გიორგი იაკობის-ძე გაგნიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-VIII, 5 ს. ავლევის ქ. № 20.

შვილები მარო, ალექსანდრე, გრიშა, შოთა, გივი იუწყებიან

მაშო ყარამანის ასულ აბაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII ქ. ონში.

ძმისწულები მარო, თამარ, ლენა, მარიკო ჩითაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნინო მიხეილის ასულ ჩითაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 6 ს. ვაჟა-ფშაველას ქ. № 6.

სამტრესტის სამმართველოს კოლექტივი იუწყება ინჟინერ

ალექსანდრე ზურაბის-ძე გიორგობიანის

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04263 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14